№ 185 აგვისტო 29, კვირა 1893 აგვისტო 29, კვირა № 185

ГАЗЕТИ ЦІНА

ოთვე	მან.	კ.	ოთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

აზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებისთვ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თბილისს რედაქციასა, კუკია ში, ეგეშლილის ქუჩაზედ, ვარანდოვ ძველის პირდაპირ, ოთ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურთ ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 1 ᲡᲔᲥᲢ.

საგუთრად შპალიერის ქალაქიდ

კონსტანტინე იაკობის ძის

ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲝᲕᲘᲡᲐ

(ერევნის მოედანი, გუბერნიის სამმართველოს გვერდით, სახლი თავ. არუთინსკი-დოლგორუკისა; განყოფილება შუა-ბაზარში, სახლი აივაზოვისა, ჯიგრაშნის ეკკლესიის პირდაპირ).

დიდ-ძალი **ᲨᲞᲐᲚᲘᲔᲠᲘ** მივიღეთ, ნაკერი 12 კაპეიკიდგან და უფრო ძვირი. მაღაზიაში არის აგრეთვე მრავალ-გვარი

მერიგანული ჟლეონგები

სტოლის გადასაფარებლად და სხვ.

ყოველთვისა გვაქვს შპალიერი რუსეთისა და უცხო ქვეყნების ფაბრიკისა; აგრეთვე სხვა მოწყობილობა ოთახის მოსართველად.

მორთულობის საქმეს კისრულობს ცნობილი ტფილისში დეკორატორი, **ᲘᲝᲐᲜᲔ ᲔᲠᲐᲡᲢᲘᲡ ᲫᲔ ᲚᲐᲜᲙᲘ**, რომლის ნახვა შეიძლება მაღაზიაში დღისა 11-იდგან 12 საათამდე და საღამოს 8 საათიდამ მაღაზიის დაკეტვამდე.

(12—11)

ᲡᲝᲛᲔᲗᲗᲐ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲩ I

—

დღეს ჩვენს ქალაქში მოელიან სომეთთა პატრიარქ-კათალიკოზს მარტიჩ I-ს.

ახალს მწყემსთ-მთავარს, რომელსაც წინ უძღვის ავტორიტეტი მაღალის წოდებისა და მრავალი პირადი ღირსება, მოელის დიდი და ნაყოფიერი შრომა თავის სამწყსოსათვის.

დიდია და ძმიმე ტვირთი კაცისა, რომელსაც მოიწვევს ერი უპირველესს და დიდ ხარისხოვან თანამდებობაზე არჩევითა და მიანდობს შუამდგომლობას წინაშე ღვთისა და კაცისა!

მაგრამ სომეხთა კათალიკოზს თამამად შეუძლიან იტვირთოს ასეთი ძმიმე საქმე, რადგანაც მთელი ხანგრძლივი ცხოვრება და მოღვაწეობა ამ საპატიო გვამისა სავსეა შაგალითებით, რომ იგი დიდის გაგებით, ცოდნითა ᲓᲐ სიყვარულით მოუვლის თავის სამწყსოს, მოუვლის მისს სულსა და ხორცს.

1876 წელს მიჭმართა მამა ხრიმიანმა სომხის სამდვდელოებას დარიგებით, რომელშიც თავისებურის აღტაცებით და ძლიერებით უქადაგებდა ქრისტეს მცნებას და რაც ამ წმინდა მოძღვრებას ეწინააღმდეგებოდა, სცდილობდა აღიგავა და გაექარწყლა. ამ სიტყვაში პატივცემული მქადაგებელი მხნედ შეებრძოლა და უარ-ჰყო ცხოვრების უსამართლობა და ცრუ მოწმუნეობა“.

ეხლა ვნახოთ ისიც, თუ როგორ ესმის სომეთთა მწყემსთ-მთავარს თავის საქალაქო მოვალეობაც. როდესაც სტამბოლელ სომეთთა 1868 წელს ჭაირიგ ხრიმიანი აირჩიეს პატრიარქად, მაშინ ახალმა მოძღვარმა ამ სიტყვებით მიჭმართა შეკრებილს ხალხს:

„ვიცი, რომ ძმიმე ტვირთი მიკისრია. კარგად ვიცი, რომ, როდესაც ამ ლილ საქმეების რიგზე მოყვანას დავიწყებ, ის ხალხი, რომელიც ეხლა მე «ოსანას» მეძახის, აუცილებლად ჩემზე დადადს და-იწყებს: „ჯვარს აცვით იგიო“.

ახალმა პატრიარქმა ბრძანება მიუწერა ყველა ეპარქიის უფროსებს სახელმძღვანელოდ. ხალხის მიმართ ხრიმიანი ამ სიტყვებით მიიქცოდა: „გამოფხიზლდი, კმარა, გამოდი სიზარმაცედამ, თუ გინდა საუკუნოებით შეჩვეულს უბედურებას თავი დაადწიო. მაგალითი აიდე მიიწინავე ხალხისაგან და იმათ კვალზე მიდი. გარს მიმოიხედე და დაინახავ, რომ ყველანი დავრდომილობისაგან განკურნებულან და ახალს ცხოვრებას მისდევენ. მხოლოდ შენ დამჯდარხარ და მწარედ თვალ-ცრემლიანი გაიძახი შემწეობასა. არ გექმნება ამ სოფლად შველა, ნუ მოელი ამას, ნურც თავს ინუგეშებ ტყუილის იმედებითა. შენ თვითონ უნდა შეიქმნე შენის თავის მშველელი. მაშ იმოქმედე!..“ სამდვდელოებას ამ სიტყვებით მიჭმართა: „მოუარეთ ხალხსა და მდიდრულ, ფუჭ ცხოვრებას მოაშორეთ. უქადაგეთ მოქალაქეებს, რომ ხელობა შეისწავლონ, შეადგინონ სამრეწველო საზოგადოება-ამხანაგობანი. გვლეხებს უთხარით, რომ უყვარდეთ სამშობლო მიწა, ეკკლესია, სკოლა და განათლება“.

აი როგორ ესმის და მხნედ ასრულებს სომეთთა კათალიკოზი თავის მოვალეობას.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲮᲝᲚᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

აგვისტოს 27, დილით, მიხეილის საავადმყოფოში სულ ექვსი ხოლერით ავადმყოფი იყო, სამხედრო საავადმყოფოში ორი და ერთიც თავის სახლში.

პრასკევეს, აგვისტოს 27, მიხეილის საავადმყოფოში მორჩა და გამოგიდა ოლერით ავადმყოფი ტიგრან ტი-ხ გრანოვი.

იმავე დღეს მიხეილის საავადმყოფოში ხოლერით გარდაიცვალა: ნიკოლოოზ კაზლოვსკი და ნადოსიოღლი.

გუშინ დილით მიხეილის საავადმყოფოში სულ სამი ხოლერით ავადმყოფი დარჩა.

რკინის გზის საავადმყოფოში და აგრეთვე სამხედრო საავადმყოფოში ხოლერით ავადმყოფები არავინ არ მიუყვანიათ. პირველში არც ერთი ავადმყოფი აღარ არის და სამხედრო საავადმყოფოში-კი გუშინ დილით ორი ხოლერით ავადმყოფი იყო.

გუშინ ტფილისში სულ ექვსი ხოლერით ავადმყოფი იყო.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ:

ქალაქ ფოთში იყო სამი ხოლერით ავადმყოფი, აგვისტოს 17-დამ 23-დე კიდევ ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2.

Ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ აგვისტოს 17—23-დე ხოლერით ავად გახდა ორი კაცი, ორივენი გარდაიცვალნენ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ აგვისტოს 17—23-დე ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1.

სენაკის მაზრაში 17 აგვისტოს დილით იყო 3 ხოლერით ავადმყოფი, 17—23-დე კიდევ ავად გახდა 9, მორჩა 4, გარდაიცვალა 2.

ზუგდიდის მაზრაში ხოლერით ავადმყოფი იყო 1, 17 აგვისტოდგან 23-დე კიდევ ავად გახდა ორი, გარდაიცვალა 2 და დარჩა 1.

შორაპნის მაზრაში აგვისტოს 17—23-დე ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1.

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ აგვისტოს 17—23-დე ხოლერა გაჩნდა. ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, და 24 აგისტოს დილით დარჩა 2 ხოლერით ავადმყოფი.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ:

სოფელ საცხენისში (ტფილისის მაზრა) ხოლერა გაჩნდა. აგვისტოს 21—25-დე ამ სოფელში ხოლერით ავად გახდა ხუთი კაცი, რომელთაგანაც სამი გარდაიცვალა და ორი დარჩა. ხოლერა ამ სოფელში ტფილისიდგან შეუტანიათ ტფილისში ნაყიდ ძონძებით. ამ სოფელში გაგზავნილია მაზრის ექიმი ბ-ნი ბეზირგანოვი, რომელიც იქ დარჩება მინამ ხოლერა მოისპობა. იმავე სოფელში იმყოფება ბ-ნი მაზრის უფროსი თ. ჯანდიერი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „მარტიჩ I, პატრიარქ-კათალიკოსი სრულიად სომეხ - გრიგორიანთა“, გამოცემული ბ-ნ ა. ღულაძის-მიერ და მაქსიმე შარაძის სტამბაში დასტამბული. წიგნი რიგიანად არის გამოცემული, შეიცავს 32 გვერდს და ღირს 20 კაპეიკი. წიგნში მოთულია კათალიკოს მარტიჩ I-ის სურათი.

*** ხაშური: (ქართლი) 15 აგვისტოს ხაშურის საზაფხულო თეატრში ქართულ სცენის მოყვარულთაგან გამართულ იქმნა წარმოდგენა შოთა რუსთაველის ძეგლის სასარგებლოდ და ხარჯს გარეშე დარჩა 20 მან., 10 კ.

ჩვენ უკვე მივიღეთ ეს ფული. მივიღეთ იმავე დანიშნულებით გამოგზავნილი ილარიონ ნიკოლოოზის ძის დარჩენილისაგან 2 მან.

ამ ფულისა გვქონდა 145 მან., 10 კ. სულ შესდგა 167 მან., 20 კ.

*** აწყური (კახეთი): უკვე შეუდგენენ სამრევლო სკოლის დაარსებას, სამეურნეო განყოფილ-

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲛᲐᲡᲚᲐᲐᲗᲘ

„...საშიოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სართველად“.

რუსთველი.

ამას წინად „ივერიამ“ აღნიშნა ერთი ახალი ამბავი,—„კვალის“ ზოგმა „ახალგაზდა რჩეულთაგანმა“, სალიტერატურო ასპარეზზედ ხტუნაობა და კუნტრუში დაიწყოო. რასაკვირველია, საკილავი და საკიცხავი აქ არაფერია. ქორფა და ნორჩს მწერალს დიადაც რო შეჰფერის ასეთი ვარჯიში. ახალგაზდობას სიცელქე თვით ბუნებისაგან წესად დადებული აქვს და აბა ვინ იქმნება ისეთი უგუნური, რომ ამ ვარჯიშისათვის ახალგაზდობა ბრალდებულად ჩასთვალოს.

მე რო მკითხოთ, სასიამოვნოც არის, როცა ახლად შეღერებული, იმედით და ოცნებით სავსე ჰაბუკი თავისუფლად კუნტრუშობს სალიტერატურო ასპარეზზედ, თამამად დახტის და ნავარდობს, თითქო ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადაო. მეტადრე როცა გაზეთი ანუ ჟურნალი უძლური მოხუცისავით სიცოცხლის ზნოს მოკლეზულია და ფეხებს ზლაზნით მიადგამს, თითქო სიარული ეზარებაო, მაშინ ხომ უფრო ჰხიბლავს მაყურებელს ახალგაზდის სალიტერატურო ვარჯიში,—ყველა ეს ხტუნაობა, მალაყს გადასვლა, ქამანდის სროლა, მოგვერდის გდება და სხვა ამ გვარი მოძრაობა.

ამასთან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთი ვარჯიში პირველ დროს სასარგებლოც არის, ᲫᲙᲣᲡᲐ და გონებას წვრთნის, აზროვნებას და მსჯელობას ანვითარებს მსგავად იმისა,—

„ვითა ცხენსა შარა გრძელი
და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა მოედანი,
მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა“...

ამიტომ დიდის სიამოვნებით თვალს ვადევნებ, როცა „კვალის“ მოედანზე ვარჯიშობენ „ახალგაზდა რჩეულნი“, ხან მალაყს გადადიან და ხან მაღლა ხტიან, ჭიდაობენ, ᲑᲣᲠᲗᲝᲐᲑᲔᲑᲔ და აქვთ ერთი ეღვიღ-ხვიღი. მაღლობის ღირსია სამეცნიერო გაზეთის რედაქციაც, რომ საგიმნასტიკო ასპარეზი გაემართავს და ახალგაზდობას ავარჯიშებს. ვიმეორებთ, ასეთი ვარჯიში მიუცილებლად საჭიროა ახალგაზდობისათვის, სასარგებლოც და სასიამოვნოც...

აიღეთ აი თუნდა ახალგაზდა ე. ნინოშვილი და დაეკვირდით, რა გვარად ხტუნაობს და კუნტრუშობს. გამოხტომილი ახალგაზდა და ერთის კალმის მოსმით ძირს ამხობს ძველის თაობის ფალავნებს და მერე ისიც ვის?—მალტუსს, სეის, ბასტიას!.. ძალა და ღონე ახალგაზდობაშია, ე. ი. ახალ-თაობაში და მოხუცნი ვერ მისწვდებიან ახალ-თაობის მოძღვრებას,—„ამისთვის ხელ-ახლავ გაყმაწვილება არის საჭირო და თავსა ახლად ვერ ვინ იშობსო“... და რადგანაც ახლად ვერ ვინ იშობება, საცოდავ მოხუცებულ მეცნიერებს ტაპა-ტაპუში გასდით „კვალის“ ფურცლებზედ, თითქო დამპალი ხილი სცვივაო. ნორჩს და ყრმა ე. ნინოშვილს ჯერ ისიც ვერ შეუგნია, თუ რა განსხვავებაა ძველსა და ახალს თაობას შორის; იმას ჰგონია, რომ ეს განსხვავება წლოვანობისაგან წარმოსდგება და ისე თამამად-კი ებრძვის „ძველს თეორიებს და პრინციპებს“, თითქო კაცობრიობის განათლების ისტორიის კვლევაში აღიზარდაო... მაშ სასიამოვნო სანახავი არ არის ასეთი ახალგაზდური სალიტერატურო ჭიდილი?!

ბ-ნი ნინოშვილი ბელეტრისტია და, ღვთის წინაშე, არც ნიჭი აკლია. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ახალგაზდა მოუსვენარის ხასიათისაა და უნდა ყველაფერზე ხელი მიუწვდეს. ნინოშვილიც არ დასჯერებია თავის ნიჭს, ბელეტრისტობა არ უკმარია და კრიტიკოსის სახელის მოხვეჭასაც სცდილობს. მაინც ჩვენს მწერლებს ასეთი სენი სჭირთ,—ძნელად თუ ვინმე ჩერდება თავის ქერქში. იშვიათი ამბავი არ არის ჩვენში, რომ პოეტი არქეოლოგოსობს და არქეოლოგი კიდევ პოეტის დაფნის გვირგვინს ეპოტინება. არვის სურს ერთს გზას დაადგეს და ერთი კვალი გაიტანოს. ამიტომაც ქართული ლიტერატურა ბაბილონის გოდოლს მიაგავს და ერთს მეორისა არა ესმის-რა. ამის მაგალითად ისევ ბ-ნს ნინოშვილს დავასახელებ.

როგორც შევნიშნეთ, ახალგაზდა ბელეტრისტს კრიტიკოსობის ხალისი აღძვრია და ჯერ-კი ისიც არ იცის, რომ ამისათვის განსხვავებული ნიჭი და შესაფერი განვითარებაა საჭირო. მარტო ცალიერ ხალისს და ხელის ქავილს რო აჰყვეს ვინმე, სასაცილო საქმე დაემართება. ასე მოსდის ახალგაზდა ბელეტრისტსაც. აბა კვალში ჩაუდექით იმის კრიტიკულს მსჯელობას, თუ ასე არ იყოს. ბ-ნს ნინოშვილს საკრიტიკო საგნად აუღია ბ-ნის მეველეს ორი წერილი იმის გამო, თუ როგორს განათლებას უნდა იძენდეს ჩვენი ახალგაზდობა უმაღლეს სასწა-

ბით. აქაურმა მემამულემ ბ-ნმა მეღვინეთხუციშვილმა შესწირა სკოლას ორი დესეტინა მიწა, რომელზედაც ეხლა შენობა უნდა ააგონ. ამ ზაფხულს რომ საქართველოს ეპესარხოსი აქა ბრძანდებოდა, თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა ბ-ნმა შ. შიუკაშვილმა მოახსენა გარემოება ამ სკოლის დაარსების და მისმა მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესობამ ორება დახმარება მისცეს საზოგადოებას ₾ 2000 მ. აღუთქვა. აგრონომი ფირალოვიც დაჰპირდა აგრონომიულ სკოლის პროგრამის შედგენასა და სხვაფრივ დახმარებასაც. ამ რიგად საქმე სულ შემზადებულია და განხორციელებასაც მალე უნდა მოველოდეთ.

*** სოფ. აკეთი. (გურია). წარსულ კვირას, 22 ამ თვისას, აკეთში არა ჩვეულებრივი დღესასწაული იქმნა გარდახდილი: ამ დღეს აკურთხეს გურიის სახალხო წინთ-საცავი. კურთხევას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. თითოეულის დამსწრეთაგანის ხსოვნაში ეს დღე სამუდამოდ დაუვიწყარი იქნება. ჩვენს ხალხს წიგნთსაცავის დაარსებაში წილი უდევს, როგორც თავად-აზნაურობას, ისე სამღვდელოებასა და გლეხობას. ხოლო როცა ქვეყნის საწყალმართო საქმეში ერის ერთობილი ძალ-ღონე ჩაებმება და დატრიალდება, როგორ შეიძლება, რომელიმე საქმე გაუკეთებელი დარჩეს. ასეთ ერს თამამად შეუძლია თვალი გაუსწოროს მომავალს და არ დაეჩაგვრინოს აწმყოს.

წიგნთსაცავის კურთხევის გურიის თავად-აზნაურთ წინამძღოლმა თ-დმა სვიმონ გუგუნავამ მოკლე სიტყვით მიჰმართა საზოგადოებას და, სხვათა შორის, უთხრა, რომ ჩვენი წიგნთ-საცავი ნორჩია და როგორც ძუძუ მწოვარი ბავშვი შეუწყვეტელ მოვლას, საზრდოს და პატრონობას საჭიროებსო. უმისოდ შეუძლებელია მისი ზრდა და წარმატება და ამიტომ მუდმივი, შეუწყვეტელი წყარო უნდა გაუჩინოთო.

*** იქიდგანვე: აკეთიდამ რკინის გზის სადგურ სუფსამდე თუ მეტი არა, ოცი ვერსი მაინც იქმნება და ბევრ აკეთელს დასახლებულ სადგურის ახლო-მახლო იჯარით აღებული ადგილები აქვთ ყანებად.

მხოლოდ ცუდი სასანიტარო მდგომარეობა ხელს უწყობს ყოველ ამ გვარ მოარულსა და სენს, განსაკუთრებით ხოლერას. ამ უკანასკნელმა კიდევაც ირინა აქ თავი და რამდენიმე მუშის სიცოცხლეც შეიწირა. ხოლო იქიდამ აკეთში ამოჰყავ მუშებს და ორი ახალ-გაზდა გლეხი აქაც გარდაიცვალა. ექიმმა შეამოწმა გვამი მიცვალე ბულისა და სენი ნამდვილ აზიურ ხოლერად იცნო ორი ადამიანიც ავად არის. სჩიქარაოდ დაქირავებულ იქმნა საზოგადოების ხარჯით ფერშალი ხოლერასთან საბრძოლველად. ალბად სიჩქარესუნდა მიეწეროს, რომ ისეთი ფერშალი დაიქირავეს, რომელსაც ერთი მომვლელი და ექიმი წინადვე ესაჭიროება, რადგანაც მაგარ სასმელების ტრფიალში და მუდამ გადაკრული. რასაკვირველია, თითონვე ასეთი კაცი ხოლერასთან ბრძოლაში ვერ ფერ ძლევა-მოსილებას გამოიჩენს და მდაბიო ხალხსაც კარგს მაგალითს ვერ აჩვენებს. საკვირველია, რატომ მოხდა ეს ამბავი, როცა ჩვენებური ფერშალი, მადლობა ღმერთს, საკმაოდ მოგვეპოება და მათ შორის ისეთიც არის, რომელიც შარშან ბაქოში იყო ხოლერობის დროს მიწვეული?

*** ს. ალი (ქართლი): ამ თვეის 17-ს აქ ერთი დიდი უბედურება დატრიალდა. საკირეს ღელეში ერთს ალელს კაცს კირი დაეწვა. მისულიყო ერთი ახალგაზდა 25 წლის ტერეზელი გლეხი, რომელსაც კირის ყიდვა ნარდადა ნდომებია, და ორივენი ერთად წასულან ქურის გასასინჯად. შედგნენ თუ არა შენელებულ ქურაზედ, მოირღვა თაღი და ორივენი-კი შიგ ჩაცვივდნენ. ალელი კაცი სულ ჩაიფლა, აღარა სჩანდა, ტერეზელს-კი თავი უჩანდა. საბრალო ჰყვიროდა: მიშველეთ, ვიწვიო. შემოეხვია ხალხი, მაგრამ ვერავინ მიეკარა, ფეხი იფლოდა კირში. ბოლოს თოკი გადუგდეს საწყალს, ხელი მოსჭიდა და ძლივს გამოათრიეს. ტეზერელთან ერთად გამოათრიეს ალელიც, რომელსაც ტეზერელისთვის მაგრა ჩაეკიდა ხელი ფეხებში. ორივენი მთლად დამწვარიყვნენ და საზარელ სანახაობას წარმოადგენდნენ. ალელი სომეხი ყოფილა (მომეტებული ნაწილი ალელებისა სომხობაა) და ტეზერელი ქართველი. ტეზერელს ჯიბე მოუჩხრიკეს, იქმნება ფული ჰქონდაო, მაგრამ ვერა უპოვეს-რა.

*** თელავი: თეთრის გიორგის დღეობიდამ წამოსულან, ორი სომეხი, ერთი იმათგანი დავაკაცებული და მეორე 14—15 წლისა. შესულან თუ არა რუის პირსა და იაალთოს შუა მდებარე ტყეში, დასწვეია სხვა თეთრის გიორგიდამვე მოდენილი სომეხი და ორივე დუახოცნა. მკვლელს თან მოჰყოლია თურმე სხვა ახალ გაზდა სომეხი, რომელიც ცოტა უკან ჩამორჩენია მაშინ, როცა კაცები დაუხოცნია. ამ ახალ გაზდას მკვლელი სიკვდილს დაჰშეკრებია, თუ გამცემო. ისიც შეჰპირებია, მაგრამ მისულა თუ არა თელავში, ყველაფერი გამოუცხადებია მთავრობისთვის. ხალხი მეტად აღელვებულა ამ ამბის გამო.

—

შეცდომის გასწორება. „ივერიის“ 184 ნომერში, წერილში „უცხოეთი, ინგლისი“ შეცდომით დაბეჭდილი იყო: „ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ ირლანდიის ბილლის განხილვა და სხვ. „უნდა იყოს„ ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ სასოფლო თვითმართველობის ბილლის განხილვა“ და სხვ.

მთავრობის განკარგულებანი

—

რათა გზა-ტკეცილები რეგულარულად იყოს შენახული და მეგ-მად არა ფუნქციონდეს, გზათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ გზა-ტკეცილზე ადარ ატარონ უმეტესი, რომელთ თეფლის სალტეს $3^1/_4$ დიუმზე ნაკლები სიგანე ჰქონ. ეს განკარგულება უნდა აღსრულებაში მოყვანილ იქმნას ამიერ-კავკასიაში ექვსის თვეის შემდგ ამ დღიდგან, როგორ გამოცხადდეს.

მეორე ცირკულარი ამავე მინისტრისა შეეხება მოსწავლეთა მოგზაურობას რკინის გზით. რათა მოსწავლენი მე-III კლასის კაცნაში ისეთ ხალხთან ერთად არ ისხდნენ, რომელთაც შეიძლება ცუდი ზე-დმოქმედება იქონიონ მოსწავლეთა ზნეობაზედ,—სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ მოსწავლენი და

ვლებელში და რა სწავლა უფრო საჭიროა ჩვენის მდგომარეობის განსაკარგებლად („ივერია“ №133, 134), ბ-ნი მეველე ამბობს, განათლება ხალხის ყოველგვარ საჭიროებას უნდა აკმაყოფილებდეს, სწავლა ისე უნდა მოეწყოს, ყოველს საქვეყნო საქმეს საკმაოდ ჰყავდეს მოღვაწენი. იმის სიტყვით, ეხლა ასე არ არის და ჩვენი ახალგაზდობა უმეტეს ნაწილად იძენს ისეთს განათლებას, რომელიც მხოლოდ სახელმწიფო მოხელეობისა და სამსახურისათვის არის საჭირო და საზოგადოების არა სანატელი ეკონომიური მდგომარეობა და სხვა არსებითი საგანი უპატრონოდ დარჩენილიაო. ამ ჟამად ჩვენმა ახალგაზდობამ უმეტეს ნაწილად უნდა მიმართოს ისეთს განათლებას, რომელზედაც დამოკიდებულია ერის სიმდიდრეო. მერე რა არის აქ საკამათო და საკრიტიკო კუდის გამოსაბმელი?!

საქართველოს აწინდელი ეკონომიური ყოფა-ცხოვრება ცხადად

რელია, რომ თვით ხოჯებსაც აღეკრძალოთ ესენი და აქ ყმაწვილებს ცუდს არაფერს ასწავლიდნენ. ასეთ პირებისთვის მარტო ბრძანება არა კმარა, უნდა მიენდოთ ადგილობრივ მთავრობას, რომ ამათ თვალ-ყური ადევნონ, რომ მოლებმა ქრისტიანეობის და ქრისტიანობის საწინააღმდეგოდ ყმაწვილებს არაფერი უჩიჩინონ.

ერთის ასეთის ხოჯის მეოხებით დაიღუპნენ მარადიდის ქართველნი და გადასახლდნენ ოსმალეთში. ერთის ასეთისავე ფანატიკოსის ხოჯის მეოხებით დაიღუპა მაჰახელი, მურღოული და სხვანი. მარადიდის დამღუპავე ხოჯათაგანი დღესაც აქედ ბრძანდებოდა. ეს დღესაც არ იშლის თავის გველაძოებას, დღესაც დაძვრება ხალხში და აქა იქ ჩუმად ქადაგებს ქრისტიანობის ზიზღს და მტრობას, ნამეტურ ქართველობის, მაგრამ ძლიერ საიდუმლოდ და ფრთხილად. ერთი ასეთივე პირი გახლავსთ ხოჯა ბირაიმ-ეფენდი კიბისთაველი, უფროსი ხოჯა, დიდი ფანატიკოსი, მოძულე ქართველთა, მოძულე ქრისტიანთა. ქვემო აპარიდამ და მარადიდიდამ თუ ვინმე გადასახლდა 1881 წლამდე, ვიტყვით, რომ სულ ამის ბრალი იყო, 1882 წ. ეს მკირე ხნით თავარობასაგან დაპატიმრებული იყო. ეს ხოჯა დღეს გამგეა ბათუმის ძველის ჯამესი, რომელიც სულთან აზიზის დედისგან არის გაკეთებული. ჯამეს გამგეთ თვით სულთნის დედას დაუნიშნავს ეს ფანატიკოსი ხოჯა.

ასეთ ფანატიკ ხოჯებს თუ რა გავლენა აქვსთ, ეს გამოჩნდება შემდეგის მაგალითიდამ:

ბათუმში ამ ჟამად უფროს მუფთად იმყოფება ახმედ ეფენდი გვერდელაძე, ხნიერი კაცია აპარის სოფ. ზუნდაკელი. საკმარისი შეძლების პატრონი, მასთანვე ქართულ წერა-კითხვის მცოდნე, სიტყვა-პასუხიანი, თავაზიანი, აწინდელ მთავრობის წესების კარგად მცოდნე და თავის თანამდებობისთვის საკმარისად გამოსადეგი. ამ პირს აუწყანდნენ რამდენიმე ფანატიკოსი ქართველი მოლა-ხოჯები იბრაიმ კიბისთაველის წინამძღოლობით. ესენი მუფთს ეუბნებოდნენ, რომ შენ სტამბოლში არ გისწავლია, ჩვენ შენზე უფრო ნასწავლები ვართ, მუფთობა ჩვენ გვეკუთნის და არა შენია.

— შენ ნამდვილი მაჰმადიანი არა ხარ, შენ არღვევ მუსლიმანობას, არღვევ მით უფრო, რადგანაც, როცა თქვენს მეჯლიში თქვენი ქრისტიანი უფროსი შემოდის, შენ მაშინადვე ფეხზე დგები, ხელს არომეც და ესაუბრები! ეს ჩვენის შართათით რიგი არ არის, შენ მუფთი ხარ და თავს ისე როგორ იმდაბლებ, გიაურს ხელს ართმევ. მუფტიმ მიუგო:

— ჩვენ არც ერთს ჩინოვნიკს და ერისთავს ფეხზე არ აუდგებით და ხელს არ მივსცემთ. მუფთმა ამათი წინადადება ბოვშურათ დაინახა და ყურადღება არ მიაქცია. გაჯავრებულ ფანატიკ მოლა-ხოჯებმა ხალხში დაიწყეს მუფთზე ლაპარაკი და ქადაგება, რომ მუფთი ქართველობს, მუფთი რუსების მომხრეა, იგი ნამდვილი მუსულმანი არ არის, იგი გამოიცვალოს და მის ალაგას იბრაიმ ხოჯა დავაყენოთო, ამით ხოჯებმა ხალხი აიღელვეს, ხალხმა საერთო თხოვნა დასწერა და სთხოვეს იქ, სადაც საჭირო იყო, მუფთი გამოგვიცვალეთო, მაგრამ თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული. ფანატიკოს მოლა-ხოჯებისგან ისე აიწყო-დაიწყო ამათი საქმე და აირიენენ, რომ მუფთისავე თხოვნით რამდენიმე დღეს დაკეტილ იქმნა ბათუმის დიდი ჯამე და ერთი ხოჯაც რამდენსამე დღით დაპატიმრებული.

ზ. ტ

(შემდეგი იქნება)

პოლიტიკა

ეხლა საფრანგეთის პარლამენტის ამბავი სრულიად გამოირკვა. დეპუტატთა არჩევნებმა დაამტკიცა, რომ მომავალ კრებულში უმრავლესობა იქნება შემდგარი ზომიერ რესპუბლიკელთაგან და, მაშასადამე, პოლიტიკური მსვლელობა საქმეთა და მისწრაფება იმ ნაირივე იქნება, როგორც წინად. ხოლო საფრანგეთის ზომიერ რესპუბლიკელთა დასის აზრი ეხლა საკმაო კარგად არის გამოაშკარავებული და ვიცით, რომ იმათ უნდათ რუსეთის დახმარებით დაიბრუნონ რაც-კი რამ ოდესმე დაუკარგავთ.

ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ფრანკეზები არასფერს არა ზოგავენ: აძლევენ თავის საიმედო და ძლიერს მეგობარს რუსეთს სესხს სესხზედ, ჰგზავნიან კრონშტადში მთელს ესკადრას დასამტკიცებლად თავის მეგობრობისა და პატივისცემისა რუსეთისადმი, უმართავენ რუსეთიდგან საფრანგეთში მისულ მოგზურთა ოვაციებს, სთარგმნიან და ავრცელებენ რუსულ წიგნებს, შეჰყავთ სკოლებში რუსული ენა და დასაგვირგვინებლად ყველა ამ პატივისცემისა და სიმპატიისა, გიშინ-წინ ტულონის ქალაქს გადაუწყვეტია, შეუსაზღვრელი ხარჯი გასწიოს, ოღონდ-კი ღირსულად დაუხვდეს რუსის ესკადრას, რომელიც ამერიკიდგან გამოივლის საფრანგეთში, და ამ სახით გადაუხდის ვიზიტს შანშან-წინ კრონშტადში მოსულს საფრანგეთის ფლოტს.

ყოველი ესე ამტკიცებს, რომ ფრანკეზებს სურთ კავშირი შეიკრას და ამ მხრით გული დაიმშვიდონ.

ზოგი პალატაში გამოჩენილნი კაცნი საყვედურსაც აცხადებენ, რომ კმარა ამდენი ხნის თავაზიანობისა და ალერსის გამოცხადება ერთმანერთში, დროა საფრანგეთმა პირობა შეუკრას რუსეთს, ისეთი პირობა, რომლისაგან ცხადათა სჩანდეს— რას უნდა მოელოდეს რესპუბლიკა მომავალში და რისი იმედი უნდა იქონიოსო.

მართალია, ყოველი განცხადებული ნათელ არს, მაგრამ რუსეთის დიპლომატები ისე არ ჩქარობენ და როგორც ეტყობა, სურთ ევროპის ომმა რაიმე საფრთხილო და სახიფათო პირობაში გაბმული არ მოასწროს. რუსეთის პოლიტიკის მმართველნი რჩებიან, რომ ევროპის სახელმწიფოთა არევ დარევის დროს მართებლობას ხელები თავისუფალი ექნეს და როგორც გარემოება მოითხოვს ე. ი. რუსეთის იმპერიის სარგებლობა, ისე მოიქცნენ.

ეს პოლიტიკა ერთა შორის დამოუკიდებლობაში გამოცდილებამ ღლიაჩინა რომ გამოსადეგი არის და ინგლისი, რომელიც თითქმის არასოდეს არ ერევა საერთო ბრძოლაში და გარეშეა ყოველს სავალდებულო სამხედრო ხელშეკრულობაზედ, ყოველთვის რასმეს იგებს და

ხავს ამას წინად Daily Chonicle-ს ერთი თანამშრომელი და უთქვამს თვისი მოსაზრება საფრანგეთის არჩევანის შესახებ. როშფორი დარწმუნებული ყოფილა, რომ მეორე კენჭეს ყრაზედ სოციალისტები გიმარჯვებდნენ: კლემანსოზე უთქვამს როშფორს, თუ რადიკალების სარდალი არჩეულ არ იქმნა, პალატა დაჭარგავს ერთს საუკეთესო ორატორთაგანსაო. დასასრულ, როშფორმა წინასწარმეტყველება დაიწყო და მოიგონა, რომ ეხლანდელ პრეზიდენტის კარნოს არჩევის დროსაც სწორედ ვიწინასწარმეტყველეო. მომავალ წლის არჩევანებზედ, როშფორის აზრით, პრეზიდენტად კაზიმირ პერიერი არ აირჩევენ, რაც მრავალსა სურს, არამედ შალმელ-ლაკურს. პრეზიდენტების არჩევის შესახებ წინასწარმეტყველობა ესე უნდაო: კანდიდატად უნდა დაასახელო სრულიად უფხო და უფერული კაცი, რომელიც ამასთანავე ბებერიც უნდა იყოს და ძაძაუნებებულიც, რადგანაც პრეზიდენტის არჩევის დროს ყველა იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, როგორც პაპის არჩევის დროს,—რომ დიდხანს არ იცოცხლოს. აი ყოველთვის ამისთანა კანდიდატი გიმარჯვებსო. როშფორმა ამასთანავე კარნოს ავადმყოფობას გადაჭარა სიტყვა.

სამეცნიერო ნაწილი

ბროუნ-სეკარის წამალი პირუტყვზედ უცდიათ.

ერთი დიდი, არა ხნიერი ძაღლი დასუსტებული, მეტად გამხდარა, მადა დაჰკარგვია, უკანა ფეხებს ძლიერ დაათრევდა, დამბლად ჩავარდნილა და სიკვდილი მოახლოვებული იყო თურმე. პატრონს მეტად უყვარდა ეს ერთგული ძაღლი და ბროუნ-სეკარის წამალს მიჰმართა. მოამზადა თითონ წამალი, ბროუნ-სეკარის დარიგებისამებრ, და კან ქვეშ უშხაპუნებდა. ძაღლს უკეთობა დაეტყო. ეს ამბავი აცნობეს პარიეის საბიოლოგიო საზოგადოების წევრს ბ-ნ მენონს, რომელმაც Gollege France-ში მოამზადებინა წამალი და იმით უშხაპუნა ძაღლსა. პირველ შეშხაპუნების შემდეგ სამი ვკირა რომ გავიდა, ძაღლი ისე კარგად გახდა, რომ კიბეზე ასვლა-ჩასვლა შეეძლო. ექვსის კვირის შემდეგ ხომ სრულიად მორჩა. ძაღლი გაკეთდა, გასუქდა, გამხიარულდა.

გავიდა რამდენიმე ხანი და ეს ძაღლი მუცლის ავადმყოფობით მოკვდა. გასჭრეს და აღმოაჩინეს ალაგ-ალაგ კან ქვეშ სიმსივნე. ეს სიმსივნე სცხრებოდა თურმე და რჩებოდა. ბ-ნ მენონის აზრით, ბროუნ-სეკარის წამალს უმოქმედნია ესე კარგად.

ეს შემთხვევა ეწინააღმდეგება იმათ აზრს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ იმ ავადმყოფთ, რომლებზედაც ბროუნ-სეკარმა სცადა თავისი წამალი, ეს წამალი-კი არ არჩენს, არამედ მათზედ „შთაგონება“ მოქმედობსო.

ეხლა მრავალნი იკვლევენ ამ წამალს. საავტერინარო კლინიკებში ცხენებსა სწამლობენ, იმ ცხენებსა, რომელნიც დაძაბუნებულნი არიან ხანგრძლივისა და მძიმე შრომით. ამ წამლობის შედეგი ჯერ არ გამოუცხადებიათ.

წერილი რედაქციის მიმართ

„კავალში“ წაიკითხე „მწყემსიდამ“ კამბეჩეულ ამბავი ეთოომც 1881 წელს „დროების“ რედაქციის მოკვრეკებანის რუსთაველის ძეგლის სასარგებლოდ ორასი თუმანი და შემოწირულთა სიები დაბეჭდილიე ყოფილიყოს. ეი მომეცეს ის ადგილი № 14 მწყემსიდგან:

«ივერია»-ში ამ წარსულ თთვის რაცხაში დაიწერეს ხელის მოწერა შოთა რუსთაველისთვის ძეგლის ასაგებად. ამ საკანზე ამავე გაზეთში დაბეჭდა ბ-ნის მეკვლეს მეთაური წერილი, რომელშაც სხვათა შორის მადლობის უმღვნიდ ერთის სუბტიო ფეხოვლს ბერს, და ამბობდა, ეთო

ც მას ბერეკულად აღეძრა ეს საკანი და მოეკონებინოს ქართველობისთვის დიდებულის ბეკეტის მამმართ დეიწყეუბული მოკადეკობა“.

ეს უკასასენელი გარემოება რომ ნამდვილი იყოს, მაინცა და მაინც კარგს ეზრს ვერ შეადგენდა ჩვენს ეროვნულს შემეწეობაზე, თუ კინდა თვით ოგიეკ მართლაც და სუბტეონ ფეხოვლი, რომელმაც წელს სამეოდე მანეთი გეუბეზანა „ივერიის“ რედაქციის რუსთველის ძეგლისათვის.

მოკეკონებთ მკითხველს სეზოგადოებას, რომ რუსთველის ძეგლის ასაგებად ხელის მოწერა გამართული იყო ეკკე 12 წლის წინად «დროების» თანხსობით (1881 წ.) და კიდეც შეკრება მაშინ ამ ეოველად სამშეტეფრი საკანისთვის ორასეოდე თუმანი. შემოწირულთა სიები წესიერად იბეჭდებოდა სსენებულს კაზეთ „დროებ“-ში რომელიც შემდეგ ეოედა ს. შესხისაკან მეტეკეემფლობა ი. მაჩაბელმა.—სხვა მოკალეობასთან ერთად ხომ არ გადასულა ბ. მაჩაბლის ხელში ზემოსსენებულის საკანისთვის მოკრეებული ფულიც?

ჩვენ გულწრფელად გეკეკრა, რომ, თუ ბ-ნას მაჩაბლის ხელში გადეკალ მაშინ ის ფული, დღეს იკი ხასთანეთან აქვეს დანიშნულებისამებრ ძომზადებული, რადგან ეკკლამ კარგად კიცით ბ. მაჩაბლის საზოგადო საქმისათვის გულშემტკივრობა და ენსკარო პატიოსნება. და თუ ძას ხელში არ გადასულა ის ფული, მაშინ ეოკეკლეკე ამედი უნდა გადეიშალოთ ძასი კკალის მოკეს ხელეკ-ეი...

უმორჩილესად კსთხოვ ბატონს „მწყემსის“ რედაქტორს პირველსკე ნომერში გამოაცხადოს, „დროებას“ რომელ ნომერში არის გამოცხადებული შემოწირეკლთა სია რუსთველის ძეგლის ასაგებად.

იოსებ მელიქიშვილი

დეპეშა

27 აგვისტო

პეტერბურგი. სამაკოების დეპარტამენტმა განმარტა, რომ თუმცა იმის დასამტკიცებლად, თუ სად არის გაკეთებული საქონელი, მხოლოდ ქარხნების ფაქტურებია დასახელებული დებულებაში, მაგრამ შეიძლება მიეცემოდეს იქმნან ფაქტურები და წერილები ნარდად მოვაჭრე საწყობებისა, მაღაზიებისა, კომისიონერთა კონტორებისა და ხელოსანთა ქარხნებისა, თუ ეს შემოწმებულ იქმნება ბეკედის დასმით, ადგილობრივის რუსეთის მისსიების, კონსულებისა და კონსულების აგენტების, ანუ ადგილობრივის ქალაქის საკომუნალოსა ანუ პოლიციის-მიერ არა თუ მარტო გამგზავნელის ხელის მოწერა, არამედ ისიც, თუ რომელ ქარხანას გაუკეთებია და შეეუშეავებია საქონელი.

28 აგვისტო

ლონდონი. დღევანდელი ცნობები ქვის ნახშირის მადნების მეუბეთა გაფიცვის შესახებ ფრიად საყურადღებოა. ბრადფორდის მიდამოებში გუშინ ჯარი იძულებულ იქმნა აჯანყებულთათვის თოფები ესროლა. დაიჭრა 8 კაცი, მათ შორის 2 დღეს გარდაიცვალა.

ბერლინი. ნიურენბერგიდგან იუწყებიან, რომ ვეპრომათა უფროსებმა გადასწყვიტეს ხელმეორედ სხოვაონ მთავრობას, რაც შეიძლება მალე დაიდვას რუსეთსა და გერმანიას შორის სავაპრო ხელშეკრულობაო.

პეტერბურგი, 27 აგვისტო. პეტერბურგის ბირჟა: გირავნობის ფურცლები ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკებისა: 6%—100½ მან., 5%—100 გამყ.; 5% ობლიგაციები ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა 99¾ მ. გამყ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ბ-ნ გ. წერეთელს აუფრენია... ნუ გეგონოთ სხვა რამ... აუფრენია... თავის რედაქციიდამ „კაკკაკი“, რომელსაც „კკალის“ დახლის გასაღები მოუტაცნია და აღარ უბრუნებს თურმე. ხსენებულს მეცნიერს—რა თქმა უნდა—ბ-ნს წერეთელს მოსჩვენებია თავის გონების Лучъ-ში, ვითომც იგი „კაკკაკი“ შეეხიზნებია „ივერიას“ და ამის დასაატიკებლად თურმე «მხატრობითი» საბუთიკა აქვს. ხოლო ვარწმუნებთ ბ-ნ გ. წერეთელს, რომ „კაკკაკი“ ივერიაში არც მოსულა და არავინ გაეკაკანებს. ხოლო ბ-ნ გ. წერეთელს რომ დახლის გასაღები „კაკკამისაგან» მოტაცებული სამუდამოდ არ დაეკარგოს, ჩვენ ვალად ვრაცხთ დაეხმაროთ და ეს ვანცხადება დავბეჭდოთ:

„კკალის რედაქციას მოსტაცა „კაკკაკმა“ დახლის გასაღები. ვინც იპოვის „კაკკაკს“ და ბ-ნ წერეთელს მიჰკვრის მოტაცებულ გასაღებით, იგი სარეკლად მიიღებს თვით ბ-ნ გ. წერეთლის ხელით თვით ბ-ნ გ. წერეთლის სახელითვანს თხზულებას, რომელსაც ჭკვიან: „ქვეყნის იმედი, ბარაქა მე ვარო“.

ივანე იაკობის ძე

ᲚᲝᲚᲒᲝᲚᲔᲜᲙᲝ

1 სექტემბრიდგან ქ. გორში მიიღებს მსურველთ და აძლევს რჩევას სასწავლის სამმართველისა, სამოქალაქო და გამაჯანსის შესახებ საქმეებში. სადგური კერძო ექიმის ლოლაძისა, სახლი მოსტოვიჩისა.

(3—2)

ᲛᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲒᲐᲜᲘ

პირველი კერძო სამეცურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილობით იღებენ:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ენენერიული და ათაშნაგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაშში ტკივილებისა.

დ. ბ. რუკეკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ტ ბრონტასეგინი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ს. ბ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. ვ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ს. ს. კადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშნაგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ვ. ი. ფრანტიუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათა მაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

§

ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘ ᲢᲔᲠ-ᲐᲙᲝᲤᲝᲕᲘᲡᲐ

გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის ოთხის კლასის კურსით

გადაიდა ვორონეის ქუჩაზე, № 11, საკუთარი სახლი

იყვანს შეგირდებს მოსამზადებლად **ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲓᲔᲢᲗᲐ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲔᲑᲨᲘ** მეოთხე კლასამდე მისადებად.

პანსიონში ასწავლიან გიმნაზიის მასწავლებლები.

§

VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი დეკეორი ბენედიქტინი)

Fécamp-ის საბატარი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომლონიერებელი, საქმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

შეკალაზედ საუკეთესო დეკეორის შორის

D.O.M. Le Bénédictine

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Etranger
Alexandre aîné

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში ჭ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი ირლიკი ქმონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

საკომერციო კურსები

ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

წელი მეთორმეტე

კურსებიკს დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შე ძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაკეს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებითი მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო კკონო, მია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუსკალტერია მარტივი, ორ-კეცი დ-საბანკო 4) არითმეტიკა სასაკარაში წოოქეთ, 5) საკომერციო მიწერ-მოწერაა 6) საკალრო და საათმასუქი წესდებანი, 7) მსწრაფულ-წერა და წერა კკერადი და შრიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრადონოკოისა, № 9, სერგიევსა და საკორსის ქუჩაზე, ავთოიქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვეების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე ცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ბ. მსუკალანტს, ტფილისს. (24—16)

Доз. ценз. Тифлисъ, 28-го Августа 1893 г. სტამბა ბ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ